№ 96. 9 მაისი, შაბათი. 1866—1881 9 მაისი, შაბათი. № 96.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ნიკოლოზობის დღესასწაულის გამო, ხვალ, კვირას გაზეთი არ გამოვა.**

---

**მიხეილ გერასიმეს-ძე ალამჯანოვი და იმის დანი: სოფიო მელიქ-ბეგლიაროვისა, კნიაგინა ნინო ანდრონიკოვისა და მარიამ უარაევისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ თავის დედის **ანნა ზაქარიას ასულის ალამჯანოვის** გარდაცვალებასა და სთხოვენ ნათესავებსა და ნაცნობებს მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ მელიქ-ბეგლიაროვის სახლიდამ, ალექსანდროვის ბაღთან, კვირას 10 ამ მაისს, დილის 10 საათზე, სომხის ვანქის ეკკლესიაში. პანაშვიდი იქნება შაბათს, 9 მაისს, საღამოს 6½ საათზე. (1—1)

## ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ქუთაისი**, 8 მაისს. გუშინ საღამოს მოხდა კენჭის-ყრა იმის თაობაზედ—გამგეობის წევრებს მიეცეს წმინდა მოგებიდამ სარგებელი (პროცენტი), თუ არა. სულ რვაას ოთხმოც-და-ათი მეკენჭე იყო; ამათში ოთხმოც-და-ექვსის (426) აზრი იყო, მიეცეს მკვლებურად ისევ სარგებელი გამგეობის წევრებსაო და ოთხას-სამოც-და-ოთხი (464) კი წინააღმდეგი იყო ამისა. ამნაირად, თუმცა მომეტებული ნაწილი სარგებლის მიცემის მოსპობას თხოულობდა, მაგრამ, რადგან ამგვარ საგნის გარდასაწყვეტად დამსწრეთა ორი-მესამედის თანხმობაა საჭირო, ამის გამო ეს საგანი ისევ ძველს მდგომარეობაში დარჩა, ე. ი. გამგეობის წევრთ მიეცემა წესდებით დანიშნული სარგებელი.

დღეს გამგეობის თავსმჯდომარის თანამდებობაზედ კანდიდატად ჩაეწერნენ და კენჭის-ყრის სურვილი განაცხადეს: ნიკ. ღოღობერიძემ, დავ. ბაქრაძემ, კარ. ლორთქიფანიძემ და დიმ. დადიანმა; ზოგიერთებმა მოითხოვეს, რომ ნიკ. დადიანისთვისაც ეყარათ კენჭი. კენჭის-ყრა ხვალისათვის გადადვეს, რადგან ნიკ. დადიანის თანხმობა არ არის, ჰსურს თუ არა კენჭის-ყრა.

(„ხალხთა-შორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 7 მაისს. ოფიციალური: ფინანსთა მინისტრი აბაზა, თავის თხოვნით, ავათ-მყოფობის გამო, დათხოვნილია სამსახურიდამ; დარჩება სახელმწიფო რჩევის წევრად. ფინანსთ მინისტრის ამხანაგი ბუნგე დაინიშნა ფინანსთ მინისტრად.

ოლდენბურგის პრინცის გარდაცვალების გამო, ხასახლეში სამის თვის მგლოვიარობა.

---

## ახალი ამბები.

გუშინ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორს შაგირდს უცემია ამავე სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ბაქრინძაშვილი და ისე უცემიათ, რომ ლოგინში სწევს ავათმყოფიო.

დღეს ქუთაისიდამვე გვწერენ, რომ ამასწინათ ამავე სასწავლებლის ერთი შაგირდი შინისაკენ მიმავალს თავის მასწავლებელს დახვედრია გზაზედ და, რომ სხვა შაგირდები არ მიშველებოდა, კინაღამ მოჰკლა ის მასწავლებელიო.

საზოგადოთ ამ უკანასკნელს დროს ცუდი ხმები ისმის ამ შავ-ბედით სასწავლებლის შესახებ. მაგრამ სხვა რომ არა იყოს-რა, ეს ზემოხსენებული ფაქტებიც საკმაოა, რომ მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ქუთ. სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობას. როცა საქმე იქამდინ მივარდება, რომ შაგირდები საცემად და მოსაკლავად არ ზოგვენ თავის მასწავლებლებს, ალბათ ერთი რამ მიზეზი უნდა იყოს, ალბათ ერთობ ცუდათ მიდის საქმე ამგვარს სასწავლებელში...

* * *

ჯავახეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენც ვეღირსეთ „პირუტყვთ დამცველ საზოგადოების დაარსებასაო“. მაგრამ ჩვენი ხალხი ისეთს გაჭირებაშია და ისე შევიწროებულია, განსაკუთრებით გზაზე მუშაობით, რომ პირუტყვზე უმალ ამას ეჭირება დახმარება და დაცვაო.

კორრესპონდენტი უმატებს ამას, რომ ზემოხსენებულ „პირუტყვის დამცველ საზოგადოებაში“ მომეტებული ნაწილი ისეთი პირები ჩაეწერნენ წევრებად, რომელნიც არათუ პირუტყვს, ხალხს სტანჯავენ და უსამართლოდ ეკიდებიანო, და თუ ჩაეწერნენ, ესეც იმიტომ, რომ იმედი აქვსთ, ამ სახელით ისარგებლონ, ხალხს რამე წაართვონ; ასე რომ სამ მანეთს რომელსაც ამ საზოგადოებისათვის იხდიან, ერთ-ათად და მეტადაც ამოიგებენო.

* * *

ახალ-ქალაქიდამ გვწერენ, რომ ამ მაზრის ზოგიერთ სოფლებში ამ ჟამად ზოგან სახადი და ზოგან კიდევ უარესი ავი, გარყვნილების ავამყოფობა არის გავრცელებული და კაცი არ არის, რომ ყურადღება მიაქციოსო. ჩვენი მაზრის ექიმი თუ სადმე მიიწვიეს, ვერსზე ორ მანეთს თხოულობს გზის ფულს და ამიტომ საწყალი გლეხი იმას ვერ მიიწვევსო.

დიდს გაჭირებაშია თურმე ახალ-ქალაქის მაზრა იმის გამოც, რომ მთელ ამ მაზრაში ნასწავლი ბებია არ მოიპოვება.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ათის დღით გადადვა კავკასიაში დაბრუნებაო.

* * *

უწმინდეს სინოდმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიის ყველა მონასტრების ქონება და ნივთეულობა დაწვრილებით უნდა იქმნეს აწერილი.

* * *

ფოთიდამ გვწერან 4 მაისს:

„ეს ჩვენი დაუპატიჟებელი სტუმრები ღამით ხომ იკლებენ ფოთს ქურდობით, ახლა დღითაც დაიწყეს: გუშინ ნასადილევის 5 საათზე ერთის სკაპეცის სახლში მიბძანებულა ქურდი, სკაპეცი სახლში არ ყოფილა; რაც სდომებია, საათი, რევოლვერი და სხვა ნივთეულობა ყველაფერი წაუღია. წასვლის დროს სკაპეცი მისულა, უნახავს თავისი უცხო სტუმარი და დაუყვირნია მეზობლებისთვის. ამ ყვირილში ქურდს სკაპეცისაგან წაღებული რევოლვერი უკრამს და იქვე გადუვარებია. დაჭრილმა რვა საათი იცოცხლა.

„მკვლელი ვითომც დაუჭერიათ, მაგრამ ჯერ ნამდვილათ მკვლელი ვინ არის არა ჩანს-რა.

„გუშინ კიდევ სწვევიან პლრიია ხოშტარიას ბატონები, რომლებიც ამის წინათაც ეწვივნენ; მაგრამ ხოშტარას კიდევ გაუგია დროზედ და არა გაუტანებია-რა.

„თქვენი მტერი როგორც ფოთელები ვართ შიშში.

„ჩვენი კლუბის საქმეც კარგათ მიდის: აქამდინ თუ ენით ლანძღვა იყო ხოლმე წევრებში, ახლა მუშტის-კრივიც შემოიღეს: ამთვის 3-სა რამოდენიმე ჩლენებთაგანს მოუვიდათ ჩხუბი პურის საჭმელ ოთახში, ჯერ სიტყვიერათ შეამკეს ერთმანეთი, მერე გარეთ გამობრძანდნენ და, მიკატანხანის მუშტრებივით, ბეჟეს ერთმანეთი; ოთხში ორი ძალიან გაბერტყილა.

„ამისთანა წესიერება ჩვენს კლუბში იმიტომ „ჰსუფევს, რომ ბრალიანი და უბრალო უკენჭოთ, არიან მიღებულნი წევრებათ.“

* * *

გორიდამ გვწერენ, რომ იქაურ ქალაქის გამგეობას შემდეგი ტაქსია გამოუცია ამ მაისის პირველიდამ პირველ თიბათვემდინ:

გამომცხვარი პური, ხორბლის ფქვილისა პირველის ხარისხისა 1 გირვ. 6 კაპ., მეორესი 1 გირვ. 3 კაპ. იმავ ფქვილისა თონეში გამამცხვარი: პირველი ხარისხისა 1 გირვ. 5½ კაპ. მეორისა 1 გირვ. 3½.

ძროხის ხორცისა; გირვანქა 11 კაპ., სუკი გირვანქა 13.

ცხვრის ხორცი: გირვანქა 11

ღორის ხორცი: პირველი ხარისხისა 1 გირვ. 10 კაპ. მეორესი 9

თხის ხორცი: 8 კაპ.

კამბეჩის ხორცი: 7.

ხორაგეულის ფასები გორში:

ფქვილი მანეთიდამ ექვს-აბაზ-უზალთუნამდინ, ფუთი ქერი თოთხმეტ-თხუთმეტ შაურად; სიმინდი სამი აბაზი ფუთი.

საუკეთესო ღვინო თუნგი ორი-აბაზიდამ ათშაურამდი. ვინც ფუთობით იყიდის, უფრო ნაკლებ. საუკეთესო შუშა ურემი ცამეტ აბაზიდამ სამ-მანეთამდინ.

კარგი ოსური ყველი გირვანქა აბაზი; ოსური ერბო გირვანქა შვიდი შაურიდამ ორ-აბაზამდინ; თივა ძველი ფუთი ხუთი შაური სოფლებში და მყიდავი არ არის.

---

## „დროების“ კორრესპონდენციები.

### I

**სოხუმი**, 3 მაისს. მეგრელებსა ცოდნიათ აღდგომის პირველს დღეს გასვლა მაედანზედ, ცეკვა და სიმღერა. ამისათვის წელსაც მოგროვდნენ შუა-ბაზარში და სიმღერით მიდიოდნენ. იმ დროს პოლიციის მთვრალი სალდათი და ორი მატროსი სამხედრო გემისა დახდომიათ და მეგრელებისათვის დაუშლიათ სიმღერა. მეგრელებმა იცოდნენ, რომ ამისთანა დღესასწაულზედ არვის დაუშლია სიმღერა მათთვის და აგრეთვე გლოვაც იყო ახსნილი ერთის კვირით, ამისათვის უყურადღებოთ მიიღეს სალდათისა და მატროსების აღკრძალვა. ამათ გული მოსვლიათ და ერთის მეგრელისათვის ლაზათიანი სილა უჭმევიათ. მეგრელებმა სამაგიეროთ პა-

ტივი სცეს სალდათსა და მატროსებსა!..

საიდგანაც არ ყოფილა, ეს შეტაკება დაუნახავს ღლის აფხაზის სალდათსა და დაუწყია ყვირილი „ჩვენებს სცემენო!“ რა გაიგონეს სალდათებმა ეს ხმა, მივარდნილან და შექმნილა ცემა-ტყეპა.

ერთი სალდათი გაქცეულა უფროსის მოსახსენებლათ; გზაზედ შემოჰყრია ვილაც აფიცერი ტიმჩენკო და ამისთვის მოუხსენებია, რომ მეგრელებმა იბუნტესო. აფიცერს უბრძანებია ტრევოგა დაუკრან. მოეშველა სტრელკოვოი კამანდის ერთი როტა, დაერიენ მეგრელებს და რაც შეეძლოთ, თოფის კონდახებით და ხიშტით არ დაუზოგავთ ხალხი. აფიცერი ტიმჩენკო უყვიროდა თურმე სალდათებს: „სცემეთ! პასუხის-მგებელი მე ვიქნები!“

ბოლოს უშველოს ღმერთმა და მისცეს დღე-გრძელობა აქაურ სოტნის ნაჩალნიკს ბ-ს. დ—ძეს და მეელ ვაჭარ-კაცს პეტრე ბ—ის, რომელთაც ხელი გამოუღიათ და გაუშორებიათ მეგრელები. ის ორი კაცი რო არ მოსწრებოდა, თქვენი მტერია ერთი საცოდაობა მოხდებოდა ამ ჩვენს სოხუმში.

სიკვდილით, ღვთის წყალობით და მერმეთ ექიმების შემწეობით, არავინ მომკვდარა. დღემდი კი გახლდათ ლაპარაკი ორი კაცი მოკვდაო.

ჩხუბს აბრალებენ ყველანი ბ. ტიმჩენკოს, ეს კაცი ცოტა არ იყოს ცეტე კაცი ყოფილა, როგორც ლაპარაკობენ.

ბევრს დღესაც დაინახავთ თავ-პირ შეხვეული დადიან.

ამ ჩხუბის შემდეგ 5 დღე ძრიელ შევიწროებული იყვნენ ჩოხიანი კაცები: გარეთ ვერ ბედავდენ გამოსვლას, მართალსა და მტყუანს იჭერდენ და სატუსაღოში ამწყვდევდენ.

ბოლოს ხელ-წერილი ჩამოართვეს მეგრელებს და გაუშვეს; 5 დღეს კი იყვნენ დამწყვდეული სატუსაღოში.

ტყუილ-უბრალოთ ისეთი პატიოსანი კაცები გაილახა და გაილანძღა, რომ სრულიად არაფერში დანაშაული არ იყვნენ, არ რეულან ამ საქმეში. ვიღაც ტელეგრაფისტი არქანიკიძე მწარეთ უცემიათ; იმას დაკარგვია ცემის დროს ოქროს საათი თავის ძეწკვით, ღირებული 150 მანეთად. წინა დღით ვილაცასაგან უსესხია ამ ტელეგრაფისტს 120 მანეთი, შინ წასასვლელათ ემზადებოდა,— ისიც დაუკარგავს.

დღეს, თქვენის გაზეთის „დროების“ შემწეობით, გამოძიებაში არიან ვინც იყო იმ დღეს დამნაშავე. თქვენი მტერია, ეს ამბავი უყურადღებოთ რო დარჩენილიყო, ძრიელ სამწუხაროთ დარჩებოდა სოხუმლებისათვის შემდეგში.

პოლიციის დეჟურნი პრისტავი ბ. ახვლედიანი ძრიელ ხელ-გამოღებულათ მოქცეულა ამ ჩხუბის დროს; მაგრამ ვერა გაურიგებია-რა.

მეგრელი გიგო ჯინაშვილი.

II

გორი, 5 მაისს. გორის ხიდის მდგომარეობა მოგეხსენებათ. ამ წყალდიდობამ ისეთ ნაირათ მოულო გოლო და მიგრიხ-მოგრიხა, რომ დღეს თუ ხვალ იმის წაღებას უნდა ველოდეთ. მესამედ ნაწილზედ გორის მხარეს ერთ არშინზედ გაჩქარებული მტკვარი გადადის. ხალხი ისევ დაიარება ხიდზედ, თუმცა აშკარა საქმეა, დღეს არის თუ ხვალ, ერთბაშათ მოგლეჯს კოზლებს წყალი და ხალხსაც თან გაადევნებს. მაგრამ იქნება მაგდენი ზარალი არ იყოს ერთი ან ორი კაცი იმსხვერპლოს!

საკითხავი არის საცოდავი მეტივეების მდგომარეობა: ყოველ დღე ტივებით მოადგებიან, გაჭირვებით თავს გადაანარჩუნებენ და ტივებს ხიდზედ მოსდებს; აქ რამდენ გაჭირვებაშია ვლეხ-კაცობა და იმდენი უნდა ლახარჯონ მუშველლებისათვის, რომ ხეებიც აღარ ღირს იმ ფასათ.

გუშინ მოვიდა ერთი ტივი, მიახეთქა ხიდსა, ხეები ზედ შეჰყარა; ერთმა კაცმა შეასწრო ხიდზედ და ორი კი წყალში დაიღუპა; აქვე მენავტიკეები გამოეკიდნენ, ერთი დამტვრეული და ცოცხალ-მკვდარი გამოიტანეს და მეორე კი დაიკარგა,— ანზოზენ ხანდაკელი ქელეპტრიშვილიაო, ახალ-გაზდა სამი თვის ნაქორწილევი.

დროა იფიქროს რამე გორის სამართველომ ამაზედ. ან გააკეთონ რიგიანი ხიდი, ან არა-და ჩაშალონ აქლემის ზურგივით უსწორ-მასწორო ხიდი.

ამ უბედურების შემდეგ ხიდთან ხალხი მოგროვდა; სამართველოს წევრი ანდრონიკოვიც მოვიდა და ხალხი დაახვია და ხიდზედ შეყრილი ხეები გამოაზიდვინა. ამ ხიდის ინჟინერი ეს გახლავს და ძალიან უფრხილდება, მალე სიცოცხლე არ მოესპოსო. ხუმრობა საქმე ხომ არის, ამისთანა მშვენიერი ხიდის გაფუჭება!..

ბალავალ მოვიდა, განკარგულება გასცა პარომი გაემართათ, რადგან გუბერნატორი გორში იყო და ამ დროს გასვლას აპირობდა. შეამზადეს პარომი. სულ რომ დიდმა ნაჩალნიკებმა იარონ, მაშინ ქუჩები, ხიდები, პარომები თუ სხვა თავ-თავის წესით იქნება შემზადებული...

გავიდა გუბერნატორი... ქათმის ფეხებზედ აშენებულ ხიდზედ გაზიდეს დამხრჩვალი კაცის ხეებიცა. დასვეღებულმა ხალხმა მიჰმართა ქალაქის თავს საჩუქარი მიეცა. ქალაქის თავს აღარ დააცალა ბატონმა ანდრონიკოვმა და მუშა ხალხს უთხრა: გამოტანილი ხეები თქვენი იყოსო და რაღა საჩუქარი უნდა მოგცეთო? ვკითხავთ ბ. ანდრონიკოვს: ის არ ეყოფათ იმ გლეხებს, რომ თქვენის მოწყალეებით ერთი დაიღრჩო და აღარც მკვდარი სჩანს, მეორე დამტვრეული მოიტანეს მენავტიკეებმა და მესამეც შიშისაგან იცოცხლებს თუ არა ღმერთმა იცის,— და ხეებიც უნდა წაართვათ განა?!

ამ თვის 16-ს დარჩენილი რაზრიადის ხმოსანების არჩევა არის და ახალმა თავმა და ახალმა რჩევამ იცის როგორც განაგებენ ქალაქის საქმეებს.

მინამ მეტივეებს ურჩევ უმაღლეს მთავრობასთან იჩივლონ და ითხოვონ მტკვარზედ გზა და დაიფარონ უბედურებისაგან თავიანთი თავები. შეძლებელია, მთავრობა რაიმე განკარგულებას მოახდენს.

X. X.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! რომელღაც №-ში თქვენის გაზეთისა ამ უკანასკნელს კვირებში გახლდათ დაბეჭდილი ახალსენაკიდამ გამოგზავნილი ცნობა, რომელშიაც არის ნათქვამი, რომ ვითომც, სამეგრ. (მარტვილის) სასულიერო სასწავლებელში ამ უკანასკნელს დროს ერთბაშათ გამოერიცხნოთ ოც-და-ათი შაგირდი; ვითომც „ჟურნალი, რომელშიაც იყო ეს განჩინება, მღვდელ-მთავარმა დააბრუნა უკან დაუმტკიცებელი.“ მიზეზი ამ გამორიცხვისა, ამბობს ანონიმი, იყო ის, რომ რამოდენიმე შეგირდთაგანნი წავიდნენ თავიანთ დედ-მამის სახლში იმ ვადაზედ ადრე, რომელიც გამოუცხადა ზედამხედველმა დათხოვნის ვადათ. ბოლოს თქვენი კორრესპონდენტი, ლანძლავს მსახურთ სასწავლებელში, უძახის „ხეპრებათ“ და იქადაგებს, რომ არამც თუ 30, ერთი შეგირდის გამორიცხვაც კი დიდი შეურაცყოფაა სასწავლებლისათვისაო.

ეს თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ცნობა არაფრით არ განირჩევა სხვა ამ ნაირი ნაწერებიდამ, რომელთაც აქვთ მიზნათ მკითხველების მოტყუება და რომლის გულისათვისაც პაწაწუნა მართალი ისეა გარეული დომხალივით ვეება ტყუილში, რომ კაცი, და მერე უცხო, ვერას გაიგებს...

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ სრულებით ტყუილათ და უმიზნოთ კორრესპონდენტს გაურევნია თავის ნაწერში დიახაც და პატივცემული მღვდელთ-მთავარი, რომელსაც სწამებს ყოფა-ქცევას, რომელიც მართლა და მას რომ ჩვენდინა, როგორც ქვემო ნაწერიდამ გამოაშკარავდება, მოიქცეოდა უკანონოთ და მოუსაზრებლათ და გაერეოდა იმ საქმეში, რომელიც მისს უფლების გარეშეა.

რაც შეეხება პედაგოგიურს დარიგებას, რომელსაც გვაძლევს ანონიმი, არაფერი არ შემიძლიან უპასუხო. მხოლოდ ეს კი, რომ ტყუილათ იწუხებს თავს, სჯობდა შეენახა, სხვა დროს და სხვა ალაგას გამოადგებოდა.

ანონიმისაგან ნაამბობს შემთხვევაში ნამდვილი გახლავსთ შემდეგი:

შარშან ნოემბრის პირველს რიცხვებში სასწავლებლის მოწაფეებმა ერთბაშათ რაღაც ავათმყოფობა დაიწყეს, ასე რომ 80 შეგირდი გამხდარიყო ავათ. იმ დროს თქვენი უმორჩილესი მონა გახლდათ სახლში და მისს თანამდებობას ასრულებდა მისი თანაშემწე ბ-ნი პორნიევსკი; ბ-ნ პორნიევსკის შეშინებოდა, [illegible] და საშიშოც [illegible] იყოს-რაო, და შეეტყობინებინა მღვდელთ-მთავრისათვის, რომ მან სთხოვა გუბერნატორს ექიმი გამოეგზავნა ავათ-მყოფობის შესამოწმებლათ.

შეეგოთ ეს ამბავი შეგირდების დედ-მამებს და პატრონებს, მოცვივნულიყვნენ სასწავლებელში და დაეტაცნათ 200-მდე ბოვშვები. სრულებით დაუკითხავათ, ინსპექტორის უცნობლათ, წაეყვანათ შინ.

მოვიდა დიქტორიც, შეამოწმა ავათმყოფობა და გამოჩნდა, რომ სულ შეგირდების სადგურების, ცუდი საჭმელის, ჩაცმა-დახურვის ამ დროებში, ცუდი ჰავა-ტაროსის ბრალი ყოფილა. დაერეკნათ ზარი; უნდათ სწავლა დაიწყონ—შეგირდები არსად არიან. ნადზირატელი გაქცეულიყო სადგურებში, გაჰყოლოდა ინსპექტორი:— სად არიან?— შინ გაიქცნენ.

რა ექმნა ბ. პორნიევსკის? ნუ კი გაგიკვირდებათ ნურც თქვენ და ნურც თქვენს კორრესპონდენტს და მოგახსენებთ, რომ სამეგრ. სასულ. სასწავლ. აქვს კანონი, რომლის გადასვლა არ შეიძლება და რომლის აუსრულება მისცემს დამნაშავეს იმისთანა პასუხში, რომლის შველა არც თქვენ და არც თქვენს კორრესპონდენტს არ შეუძლიან. იმ კანონში ესეც კი არის ნათქვამი, რომ უკეთუ უქმე არ არის, საახალწლოთ და სხვა უქმეებისათვის არ არიან დათხოვნილნი და დიდი რამ მიზეზი, როგორც ეპიდემია ან ამნაირი არ არი, სწავლა უთუოთ უნდა იყოს და თუ არ იქმნება სწავლა, დამნაშავე იქმნება დამთხოვნელი.

წარმოიდგინეთ რა ხეპრულათ მოიქცა პორნიევსკი, რომელიც, როგორც ზედამხედველი, იყო პასუხის მგებელი? იმან მიიღო რა სახეში, რომ შეგირდები დაუკითხავათ გაიქცნენ სახლში და მიიღო რა სახეში ერთი მუხლთაგანი სასწავლებლის კანონისა, რომელსაც ქვევით მოვიყვან და გადმოვცარგმნი, მოახსენა ყრილად სამღვდელოს, რომ იმან მისცეს სასწავლებლს ნება გაქცეულის ბავშების უმაღლესის სასჯელით დასჯისა და იმასთან გამოუცხადოს მათ მშობლებს, რომ ასე დაუკითხავათ ბავშის წაყვანა არ შეიძლება სასწავლებლიდამ, თორემ გამორიცხულნი იქნებიან.

მღვდელ-მთავარმა დააწერა, რომ, რადგან ამ შემთხვევას აქვს შესამსუბუქებელი მიზეზი, ავათ-მყოფობა, ამისთვის შეგირდები ნუ დაისჯებიან და მამა პატრონებს კი გამოუცხადებო.

სასწავლებლის სამმართველო დასჯერდა ამ განკარგულებას და როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ შეგირდები ისევ შეიკრიბნენ, გამოუცხადა ეს განკარგულება, აუხსნა, რომ თვით-ნებით, დაუკითხავათ წასვლა შეგირდისა სახლში არა მიზეზით არ

შეიძლება, რადგან როგორი სწავლა იქნება, რომ დღეს ერთი წავიდეს და დაბრუნდეს მეორე კვირაზე, ხვალ მეორე და ასე. ამასთან სამმართველომ გამოუცხადა, რომ დამნაშავე ამ საქმეში იქნება კანონის ძალით გამორიცხული სასწავლებლიდამ *). დააშინა, თუმცა, როგორც დაინახავთ, როცა ეს შემთხვევა მოხდა, მარტო ამ მიზეზით არამც თუ 30, ერთიც არ გამოურიცხავს.

გავიდა დრო; მოახლოვდა შობა-ახალწელიწადი. სასწავლებლის კანონის ძალით შეგირდების დათხოვნა შეიძლება არა ადრე დეკემბრის 22-ს, 20-ს რიცხვისა **). შეგირდების პატრონებმა კი დაიწყეს ცხენების გზავნა 10-ს, 11-ს და 12. ინსპექტორმა არ მისცა შეგირდებს ბილეთი და არ დაითხოვა ვადამდე, რადგან კანონისაგან აღნიშნული პატივსადები მიზეზი მათი დათხოვნისა არ იყო. იმათ კი დაჰკრეს ფეხი და წავიდნენ სახლში.

ინსპექტორი მოიქცა ისევ ისე, როგორც კანონი მოითხოვდა. იმან წარმოადგინა ის თვის-ნებით წასული შეგირდები სამმართველოს მორიგს სხდომაში, რომელიც აუცილებლივ თვეში ორი მაინც უნდა იყოს. რადგან ერთი მღვდელთაგანი წევრი სამმართველოსი არ მოვიდა ვადაზედ, სხდომა იყო დიდმარხვაში და წინეთ დამნაშავეებს მიემატნენ ყველიერში წასულებიც.

აი განჩინება სიტყვით სიტყვამდე, რომელიც დასდო სამმართველომ:

„ამ წარმოდგენილ შეგირდებში გამოირიცხნენ მხოლოდ ისენი ვინც უწინაც სხვაფერითაც არის შენიშნული ცუდ ყოფა-ქცევაში და რომელთაც სწავლაში 3-იც კი არა აქვსთ“.

ამ განჩინებიდამ სჩანს, რომ შეგირდებთაგანნი გამოირიცხნენ, ვინც გამოირიცხა, არამც თუ მარტო „ორიოდ დღით წინ წასვლის გულისათვის“, არამედ სხვა ცუდ ყოფა-ქცევაზედაც და სრულებით უსწავლელობაზე, რადგანაც 3-ზე ნაკლები ნიშანი არის 1 და 2 და პირველი ნიშნავს ძალიან ცუდს და მეორე ცუდს.

განვაგრძობ. წარედგინა ეს განჩინება მღვდელთ-მთავარს. აი ამის განჩინებაც:

„რადგან ჟურნალში არ არის მოყვანილი ვისა აქვს ცუდი ბალები და ისე გამორიცხვა არ შეიძლება, სამმართველომ ხელ-ახლათ იქონიოს სჯა და წარმომადგინოს“. (журн. пр. № 2 ст. 5.

რომ ეს ბალები არ იყო წარდგენილი, სრულებით ფორმალური შეცდენაა და საქმის მოწარმოებელის ბრალია. მეორეთ მღვდელ-მთავარს არ შეეძლო სრულებით ჟურნალის დაბრუნება, რომელზედაც ყველას ხელი ჰქონდა მოწერილი. იმას შეეძლო მიეცა წინადადება, რომ ხელ-ახლათ ყოფილიყო სჯა.

სამმართველომ მოახდინა ხელ-ახლად სჯა ჟურნალში № 3, გაარჩია ბალები და ყოფა-ქცევა ინსპექტორისაგან წარმოდგენილი ბოვშვებისა და აღმოჩნდა რომ სამმართველოს წინეთ დარდგენილი პირობებით უნდა გამოირიცხოს მხოლოდ პირველი კლასის მოწაფე ჩ., რომელიც უწინაც იყო დათხოვნილი და იყო მიღებული ხელ-ახლადი თხოვნით და პირობით, რომ კარგათ მოიქცევა. შემდეგ ხელ-ახლათ მიღებისა ისე ძვირათ დადიოდა კლასში, რომ მასწავლებელთ ვერც კი გაუგონიათ გაკვეთილი. მეორე კლასში მოთხოვნილი პირობა არც ერთს არ ამოუჩნდა; მესამეში არც ერთს, მეოთხეში არც ერთს. გამოვიდა, რომ სასწავლებელმა გამორიცხა მხოლოდ ერთი შეგირდი ჩ.

აი გახლავთ ნამდვილი გარემოება ამ საქმისა.

სამეგრელოს სასწ. ზედამხედველი
ა. ხელაშვილი.

მარტვილი, 30 აპრილი.

---

*) აი ის კანონიც: „უკეთუ მოსამზადებელის და ორის პირველის კლასის შეგირდი სასწავლებლისა თავისის ნებით და დაუკითხავათ წავიდეს სწავლის დროს სახლში მაშინ ის დაისჯება უმეტესის სასჯელით სასწავლებლისა (подвергаются одной изъ вышихъ испровительныхъ мѣръ) და გამოეცხადების, რომ უკეთუ კიდევ დაშავა რამე გამორიცხვის და მართლად უნდა გამორიცხოს და სასწავლებლის მოწმობაში წარეწერების: (не способенъ къ продолженію ученія. ეგრეთვე უნდა მოექცეს სამმართველო სასწავლებლისა შეგირდს უკანასკნელის ორის კლასისა იმ განრჩევით, რომ ესენი პირველ შემთხვევაშივე უნდა იყვნენ გამორიცხულნი. (Журналъ учебнаго комитета 1874-ს; ст. 209 п. II).

**) ცხადია, რომ ანონიმი ტყუის, როცა ამბობს, რომ ზედამხედველმა გამოუცხადა დათხოვნის ვადაო. ვადა თვით კანონისაგან არის დადებული და ზედამხედველს არც დაჩქარება, არც შეგვიანება არ შეუძლიან. ეს ვადა იცის ყველა შეგირდებმა, რადგან პირველი წელიწადი არ არის, რაც ის მოქმედებაში. რაკი სიტყვა ტყუილზე ჩამოვარდა ანონიმი იმასაც სტყუის, ვითომც ზედამხედველმა დანიშნა უჩიტელთ კრება მარტოკ ამ საქმისათვისაო. პირველათ ამ საქმის სჯა იყო სამმართველოში, რომელშიაც არიან ზედამხედველი, თანაშემწე, ერთი მასწავლებელთაგანი და ორი აღმორჩეული მღვდელი: მეორეთ სხდომა მარტო იმათთვის კი არ იყო, ის საქმე სხვათა შორის განირჩივა; მესამეთ მოხსენება შეგირდების ყოფა-ქცევაზე ზედამხედველის ვალი არ არის და მე არც მომახსენებია სამმართველოსათვის. ეს მოხსენება ჩემმა თანაშემწემ, რომლის ვალიც იყო და ჩვენ კიდევ, სამმართველოს, უნდა გაგვერჩია და დაგვედგინა განკარგულება.

# რუსეთი

კიევიდამ იწერებიან, რომ არეულობამ იქონია ცუდი გავლენა განსაკუთრებით აქაურ საწყალ ხალხზედ, სხვა-და-სხვა ოსტატებზედ, წვრილმან ვაჭრებზედ და სხვ. აქ შემდგარა გაჭირვებულებისთვის დამხმარებელი კომიტეტი. ოთხ სხვა სოფლებში მომხდარა კიდევ არეულობა; რკინის გზის სტანციებზედ ვაგონებს, რომელშიაც ისხდნენ ებრაელები, თავს დასხმია ხალხი, მატარებელი გაუჩერებიათ და ებრაელები უცემიათ. კიევში ყველაფერზედ ფასმა აიწიაო. მოელიან ბევრის გაკოტრებას.

— კოსტრომიდამ იწერებიან, რომ სამს მდიდარს მექარხნებს შეუმცირებიათ მუშაობა თავიანთ ქარხნებში, მეოთხეს კი სრულებით დაუხურავს ქარხანა, რადგან ვაჭრობა არ არისო. ოთხი ათასი მეტი მუშა დარჩენილა უმუშაოდ და ულუკმა-პუროდ.

— ამას წინეთ მოხსენებული იყო გაზეთებში, რომ კიბალჩიჩის მამამ, მღვდელმა, გაიგო თუ არა თავის შვილის ჩამოღრჩობის ამბავი, მწუხარებას ვერ გაუძლო და თვითონაც თავი დაიღრჩოო. ამ ჟამად გაზეთებში იწერებიან, რომ კიბალჩიჩის მამა ამ ორი წლის წინეთ გარდაიცვალა კროლოვეცკის მაზრაში, ქ. კოროტაშიო.

— სამხრეთ და ზოგიერთ შუა რუსეთის გუბერნიებიდამ ისმის საჩივარი წლევანდელ პურის მოსავალზედ. ზოგან ჭიები აფუჭებს, ზოგან უწვიმობა, ზოგან კი წვიმის ნამეტნაობა. მაგრამ ზოგიერთ ალაგას გლეხები სჩივიან იმაზედ, რომ მოტყუებული დარჩნენ ერობისგან, რადგან მათი დარიგებული და დათესილი თესლი არ ამოსულა და ეხლა არ იციან რა ჰქნან. ამისათვის ამ ალაგების ერობა ეხლავე ჰსცდილობს მოუპოვონ გაჭირვებულ გლეხებს საშუალება და ააცილონ თავიდამ მომავალი შიმშილი.

# უცხოეთი

ბოლგარია.—სოფიიდამ იწერებიან 20 აპრილს: მთავარი ალექსანდრე მოიწვევს ქ. სისტოვოში ხალხის წარმომადგენელთა კრებას და, თუ საჭიროდ დაინახავს, შემოიღებს ბოლგარიაში დროებით სამხედრო მმართებლობას.

— იქიდამვე მოვიდა ამბავი, მთავარმა გამოუცხადაო სახელმწიფოების წარმომადგენლებს თავის სურვილი შესახებ კონსტიტუციის მოქმედების შვიდის წლის ვადით შეჩერებისა. ღენერალ ერნროტს უკვე მიენიჭა დიქტატორის უფლება.

საფრანგეთი.—პარიჟიდამ საკუთარი კორრესპონდენტი სწერს გაზეთ „რუსკი კურიერს“ 1 მაისს:

„გუშინ დილის 8 საათზე რუსტანმა (საფრანგეთის წარმომადგენელია ტუნისში) სთხოვა ტუნისის ბეის მიეღო მას მოსალაპარაკებლად ბრედი. ბეიმ შუადღეზედ აცნობა, რომ ოთხ საათზე ინახულებს. ბრედი წავიდა ოთხ საათზედ ბარდოში და წაუკითხა ბეის საფრანგეთთან მორიგების პირობა, რომელიც შეიცავდა ათ მუხლს. ბეიმ ითხოვა მოსაფიქრებლად ცხრა საათამდინ ვადა. ეს მოლაპარაკება მოხდა ორთავეს მხრით მშვიდობიანათ და თავაზიანათ. რვა საათზე ბეიმ მოაწერა ხელი მორიგების პირობაზედ და სთხოვა, რომ საფრანგეთის ჯარი ნუ შამოვა ტუნისში

იტალია.—ერთს ლონდონის გაზ. დაბეჭდილია, რომ იტალიაში აღმოუჩენიათ შეთქმულობა იტალიის კაროლის ჰუმბერტის მოკვლის განზრახვით.

# ნარევი

სპარსული თავაზიანობა. — გაზეთს „რუსკი კურიერში“ დაბეჭდილია ერთი ახირებული ამბავი, რომელიც მომხდარა ამ ოცი წლის წინეთ სპარსეთის ელჩის მოსკოვში ჩამოსვლის დროს. სხვათა შორის ელჩი ყოფილა ერთ იქაურ საქალებო პანსიონის სანახავად. ინსტიტუტის ზალაში დაწყობილი ყოფილან ახალგაზდა ქალები. მათ ზედამხედველ ქალს, თარჯიმანის შემწეობით, მოუხსენებია ელჩისთვის, რომ ეს ქალები აზნაურიშვილების ობლები არიანო, რომელთაც ეძლევათ მუქთად კარგი აღზრდა და განათლებაო. ელჩი დიდ-ხანს ათვალიერებდა ქალებს და უცქეროდა თვალებში, ბოლოს, გაჩერდა ერთ ლამაზ ქალთან და უთხრა რაღაც სპარსულათ თარჯიმანს, რომელმაც გარდასცა ზედამხედველ ქალს: „მათ ბრწყინვალებას ჰსურს ამ ყმაწვილის ყიდვა“.

* * *

რომში (იტალიაში) დაუტუსაღებიათ ვიღაც ანტონიო რუფფო, რომელიც ნაფიცი სასამართლოს გარდაწყვეტილებით კატანაში ოცი წლით უნდა ჩამჯდარიყო ციხეში ერთი მკვლელობის გამო. მაგრამ ეს ოცი წელიწადი გაუტარებია მას, გამოცვლილის გვარით რომში, სადაც შეერთო ცოლი. ამ დროის განმავლობაში ანტონიომ დაიმსახურა, თავის პატიოსნური ცხოვრებით, საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა. ახლა იცნეს ის და დაატუსაღეს.

* * *

რაკოვში, ლალანდის კუნძულზედ, მოუკლავთ ერთი დიდი არწივი: იმის სიგრძე ერთს ფრთიდამ მეორემდის თითქმის საჟენი იყო. კისერზედ შემოსკვნილი ჰქონია სპილენძის ჯაჭვი, რომელზედაც დაკიდებული იყო პაწაწკუნა ყუთი და შიგ ქაღალდი ზედ წარწერით ნემეცურ ენაზედ: „დაჭერილია და ისევ გაშვებულია 1792 წელს. ნ. და ს. ანდერსენი. ბიოტიო ფალსტერზე, და-

ნიაში“. მაშასადამე ეს არწივი თითქმის ოთხმოც-და-ათის წლისა ყოფილა.

***

ამ ჟამად კიევში იმყოფება თავის მამით ახალ-გაზდა ყმაწვილი მათემატიკოსი სახელად ლიებაა მოლცინი (ურია). ერთი მათემატიკის მასწავლებელი სწერს: „თვითონ ჩვენ დავრწმუნდით ამ ყმაწვილის გასაკვირველ ნიჭში. ყველა კითხვებზედ, რომელიც კი მვეცით მას ალგებრიდამ, გეომეტრიიდამ, ტრიგონომეტრიიდამ, ის გვაძლევდა უბრალო და გასაგებარ პასუხს, რომელიც ცხადად ამტკიცებდა ამ ყმაწვილის გასაკვირველ ნიჭს. ყმაწვილს შეუძლია პირ-და-პირ დაიჭიროს ეხლავე ეგზამენი მათემატიკიდამ მერვე კლასის კურსისა. დიდი ხანი არ არის, რაც თორმეტი წლის გახდა ეს ყმაწვილი. მაგრამ რომ შეხედოთ, უფრო ახალ-გაზდა გეჩვენებათ“.

მამა მისის სიტყვიდამ სჩანს, რომ ამ ყმაწვილს არასოდეს არ ყოლია მასწავლებელი, რაც უსწავლია მარტო თავისით ვისმეს დაუხმარებლივ; მამა მისი მხოლოდ წიგნებს უიდულობდა თურმე ყმაწვილისათვის.

## ტაქსია

საკვებაგ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ათის დღის განმავლობაში, 1 მაისიდამ 11 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 5 1/2
მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თონეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 6 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4 1/2

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
მეორის „ „ 1 გირ. 5 1/2
მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 10 კ.
მეორის „ — 1 გირ. 18
სუკი — 1 გირ. 16
ცხვრის ხორცი 1 გირ. 12

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის — 1 გირ. 14
მეორის „ — 1 გირ. 12 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაიდნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

# განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თბილისის სამოქალაქო გამგეობა აცნობებს საყოველთაოდ, რომ მისი თანადასწრებით 12 მაისს დანიშნულია ვაჭრობა საქონლის საკლავის გადასახადის იჯარით გაცემაზედ. პირობები მსურველთ შეუძლიანთ ნახონ მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ; უქმი დღეების გარდა. (3—3)

## გასაქირავებელი სადგომი

სამი და ორი ოთახი ცალ-ცალკე ანუ ერთად, თავის კუხნით და ყველა მოწყობილობით.

გალავინის პროსპექტზე, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ, მირზოევის სახლებში.

მსურველს შეუძლია იქვე იკითხოს. (5—4)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ,ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში**. საავგუსტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—59

# დავითიანი

თხზულება

დავით გურამის-შვილისა

(ძველი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალდიკანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

**ფასი** ერთი მანეთი.

**ისყიდება:** თფილისში გ. ჩარკვიანის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოც-დაათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა. (5—3)

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელებლის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—61)

## ა ნ გ ა რ ი შ ი

კოპიო.

რუსის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის ყრილობისაგან დამტკიცებული 1880 წლისა

1-ს იანვრისთვის 1880 წლისთვის იმყოფებოდა:

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის შემოსატანი 289 წევრისა — — — | 3,232 | 64 | გასესხებული ამხანაგებში — — — — | 6,981 | 50 |
| სასარგებლოთ შემოტანილი — — — | 1,065 | 2 | ნაღდი ფული კასსაში— | 291 | 69 1/4 |
| ნასესხნი ფული— — | 2,600 | „ | | | |
| სათადარიგო თანხაში— | 25 | 75 3/4 | | | |
| წმინდა მოგება 1879 წლისა — — — | 349 | 77 1/2 | | | |
| სულ— | 7,273 | 19 1/4 | სულ— | 7,273 | 19 1/4 |

1880 წელსა:

| შემოსავალი: | მან. | კაპ. | გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,185 | 43 | წილის ფული დაბრუნებული — — — | 14 | 80 |
| სარგებელი დაჭერილი სესხების დროს— — | 1,270 | 80 | მოგება წილზედ მისცემიათ — — — | 259 | 8 1/2 |
| ჯარიმა — — — | 108 | 56 | სესხათ მისცემიათ ამხანაგობას — — | 16,011 | 50 |
| დაბრუნებული ნასესხნი ამხანაგებისაგან | 12,979 | 50 | დაბრუნებიათ სარგებელი ვადაზედ წინათ გადახდილი— — — | 22 | 93 |
| სასარგებლოთ შემოტანილი — — — | 1,061 | 50 | სასარგებლოთ შემოტანილისა — — — | 1,143 | 50 |
| ნასესხნი ფული— — | 7,865 | „ | სარგებელი სასარგებლოთ შემოტანილისა | 42 | 92 |
| სათადარიგო თანხაში— | 33 | 4 | სესხი გადახდილი — | 6,100 | „ |
| | | | სარგებელი სესხისა — | 220 | 67 |
| | | | სამართველოს ჯამაგირი | 450 | „ |
| | | | სხვა და სხვა ხარჯები— | 30 | 44 |
| | | | ალებ-მიცემობისა — | 33 | 4 |
| სულ— | 24,503 | 83 | სულ— | 24,328 | 88 1/2 |

1-ს იანვარს 1881 წელსა იმყოფება:

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული 357 წევრისა — — — | 4,403 | 27 | სესხათ მიცემული ამხანაგობაში — — | 10,013 | 50 |
| შესანახავათ შემოტანილი— — — — | 983 | 2 | ნაღდი ფული კასსაში— | 466 | 63 3/4 |
| სესხათ აღებული — | 4,365 | „ | | | |
| სათადარიგო თანხა — | 58 | 79 3/4 | | | |
| წმინდა მოგება 1880 წლისა — — — | 670 | 5 | | | |
| სულ | 10,480 | 13 3/4 | სულ | 10,480 | 13 3/4 |

თავს-მჯდომარე თ. ნ. დიასამიძე

წევრნი რჩევისა: გიორგი მამაცოვი. ივანე კლიმიევი. გოგია ჭავლეშვილი. დათუა მამესწრაშვილი. გლახა ბეჟანაშვილი.

წევრნი მართველნი: მიხეილ კლიმიევი. სოსო მღებრიშვილი.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Маія 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.